

Comparative Literary Studies in Georgia: Challenges and Perspectives

Three Medeas – Modernist and Postmodernist Reception of Medea Myth in Georgian Literature

სამი მედეა – მედეას მითის მოდერნისტული და
თანამედროვე რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში

Lili Metreveli

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
(Tbilissi, Georgia)

ლილი მეტრეველი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
(თბილისი, საქართველო)

Abstract:

Greek mythology has made character of Medea of Colchis the indivisible part of world cultural heritage. For centuries character of Medea has maintained its significance and comprised source of inspiration for the representatives of various spheres of fine arts. Of course, regarding the contexts of the epochs (conceptual and esthetic position) and author's intent, some motifs of the Argonauts' myth and character of the woman of Colchis have been changing. One part of the creators sees in it a murderous mother, the other part a vengeful wife or a traitor, while others see Medea as the first feminist woman.

Our aim is to consider, on the one hand, the first attempt at a literary interpretation of the Greek tragedian – Euripides' Medea – as a mythological hero, and, on the other hand, the modernist and postmodernist receptions of the Medea myth. In particular, we will analyze the texts of two Georgian

writers working in Germany at different times: the novel by modernist author Grigol Robakidze „Maggie Georgian Girl“ and the play by modern author Nino Kharatishvili „My and Your Heart [Medea].“

Within the scopes of the report we we shall attempt to find out the conceptual relation and influences of the characters of Georgian writers using comparative analysis, on the one hand, with the mythological tradition of Medea and on the other hand, with the tragedy of Euripides „Medea“; Introduce both modernist and postmodernist reception of the Medea myth in Georgian literature and highlight the international significance of the Colchis for Georgian culture.

Keywords: Medea, Greek mythology, Feminist woman

საკვანძო სიტყვები: მედეა, ბერძნული მითოლოგია, ფემინისტი ქალი

ბერძნულმა მითოლოგიამ კოლხი მედეას სახე მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილად აქცია. საუკუნეების განმავლობაში მედეას სახე აქტუალობას არ კარგავდა და ხელოვნების არაერთი დარგის შემოქმედთათვის ინსპირაციის წყაროდ წარმოგვიდგებოდა. ცხადია, ეპოქის კონტექსტისა (კონცეპტუალური თუ ესთეტიკური პოზიციის) და ავტორისეული ინტენციის გათვალისწინებით, იცვლებოდა და როგორც არგონავტების მითის ზოგიერთი მოტივი, ისე კოლხი ასულის აღქმის პრიზმები. შემოქმედთა ერთი ნაწილი მასში მკვლელ დედას, მეორე ნაწილი შურისმაძიებელ ცოლს ან სამშობლოს მოღალატეს ხედავს, სხვების მოსაზრებით, კი მედეა პირველი ფემინისტი ქალია, რომელიც უარყოფს ყოველგვარი ქალურობის ნორმას და მასკულინური შეზღუდვებისაგან თავისუფლდება.

ჩვენი მიზანია წარმოვადგინოთ მედეას მითის მოდერნისტული და თანამედროვე რეცეფციები ქართულ ლიტერატურაში. კერძოდ, გავანალიზოთ სხვადასხვა დროს გერმანიაში მოღვაწე ორი ქართველი მწერლის ტექსტები: მოდერნისტი ავტორის – გრიგოლ რობაქიძის რომანი „მეგი ქართველი გოგონა“ და თანამედროვე მწერლის ნინო ხარატიშვილის პიესა „ჩემი და შენი გული [მედეა]. სტატიაში შევეც-

დებით კომპარატივისტული ანალიზის გამოყენებით დავადგინოთ ქართველი მწერლების პერსონაჟების კონცეპტუალუ-რი მიმართება და გავლენები, ერთი მხრივ, მედეას სახის მითოლოგიურ ტრადიციასთან და, მეორე მხრივ, ევრიპიდეს ტრაგედიასთან „მედეა“.

მითოსის მიხედვით, მედეა ძველი კოლხეთის ლეგენდარული მეფის აიეტის ქალიშვილი იყო, რომელსაც უყვარდება არგონავტების წინამძღოლი იასონი და ოქროს საწმისის მოპოვებაში ეხმარება მას. მითის ერთ-ერთი ვერსია მოგვითხრობს შეყვარებულების საბერძნეთში გამგზავრების, იასონის ღალატისა და კორინთოს მეფის კრეონტის ქალიშვილის კრეუსას/გლაუკეს (ლ.მ. მითი კრეონტის ქალიშვილის სახელის ორივე ვერსიას იცნობს) ცოლად შერთვის ამბავს. მედეა იასონზე შურისძიების მიზნით მის საცოლეს კლავს, განრისხებული კორინთოელები მედეას შვილებს უხოცავენ, გაუბედურებული ქალი კი კოლხეთში ბრუნდება.

მითის ლიტერატურულ ინტერპრეტაციას პირველად ბერძენი ტრაგიკოსი ევრიპიდე ჯერ კიდევ ძვ. წ. 431 წელს გვთავაზობს. ევრიპიდე საგანგებოდ ცვლის მითის ფინალურ ნაწილს და მედეას შვილების მკვლელ დედად აქცევს, მოგვიანებით მცირე აზიაში ეგეოსთან შეძენილ შვილთან ერთად ბარბაროსი ტომების მძლეველად იქცევა და ახალი მიწის – მიდიას – დამაარსებლად გვევლინება. ბერძენი ტრაგიკოსი განსხვავებულად წარმოაჩენს კოლხეთში მედეას დაბრუნების მოტივსაც. მითის მიხედვით, თუ მედეა გაუბედურებული, წაგებული და უსუსური ქალია, რომლისთვისაც დაბრუნება არა ახალი შესაძლებლობა თუ გამოწვევა, არამედ უალტერნატივო გამოსავლია, ევრიპიდეს ტრაგედიაში მედეა ტრიუმფატორი ქალი და აიეტის მხსნელია. ქალიშვილი ომს უცხადებს მამის მტრებს, მეფეს ტახტის დაბრუნებასა და ძალაუფლების განმტკიცებაში ეხმარება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მედეას მითოსური სახის გააზრებისას თავად ანტიკურ მკვლევართა შორისაც განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. „ზოგიერთ ანტიკურ ავტორთან მედეა ღვთაებრივი ჰიპოსტატის მატარებლად გვევლინება... მედეას ღვთაებად გააზრების გვერდით ანტიკურობაში მედეა-ჯადოქრის დიდი ტრადიციაც არსებობს“ (ნადარეიშვილი, 2011, გვ. 113). მედეას სახის ამბივალენტური რაობის შესახებ მკვლევართა შორის პოლემიკა ევრიპიდეს მედეას ირგვლივაც გრძელდება. აღნიშნული საკითხი საგანგებოდ შეისწავლა ქართველმა მეცნიერმა ქეთევან ნადარეიშვილმა. მისი დაკვირვებით (2011, გვ. 117), ლიტერატურათმცოდნეობაში მედეა, ერთი მხრივ, გაიაზრება გრძნე-

ულ მისნად, ზე-ბუნებრივი შესაძლებლობების მქონე, ირაციონალურ ძალად, მეორე მხრივ, კი ადამიანური ვნებებით დატვირთულ, რეალურ გმირად. ტრაგედიაში, მკვლევრის შეფასებით, „*ჯადოსნური სიბრძნე ჩანაცვლებულია ინტელექტუალური სიბრძნით*“.

მედეას მითის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში გრიგოლ რობაქიძე „მეგი ქართველი გოგონა“

გრიგოლ რობაქიძის რომანი „მეგი ქართველი გოგონა“ პირველად 1932 წელს გერმანიაში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა. ქართულად კი პირველად 2012 წელს ითარგმნა და დღემდე სათანადოდ არაა შესწავლილი.

რომანის თავდაპირველი სათაური „მედეას ნაწნავები“ იყო. თავად ავტორი წიგნის კონცეფციას ასე განმარტავდა: „ჩემი რომანი „მეგი“ ერთგავარი ცდაა რეალურ ქალწულში კოლხელი მითიური ქალის განცხოველებისა: მედეასი.“ გრიგოლ რობაქიძე რომანში მართლაც ითვალისწინებს ანტიკურ გამოცდილებას მედეას შესახებ, თუმცა, კოლხი ასულის სახის მხატვრული გარდაქმნისას არღვევს სიუჟეტის განვითარების ტრადიციულ ხაზს და მოდერნისტული მსოფლმხედველობრივი პოზიციიდან არსობრივად ახალ გმირს ქმნის.

საგულისხმოა, რომ ქართულ სალიტერატურო სივრცეში მითოგრაფიული რომანის დამკვიდრება სწორედ გრიგოლ რობაქიძის სახელს უკავშირდება. კონსტანტინე ბრეგამის დაკვირვებით (2016, გვ. 85-86): „*ქართული მოდერნიზმი ახერხებს ორიგინალური სახისმეტყველებითი პარადიგმების, მითოსური არქეტიპების, მითოსური ნარატივისა და მითოსური სახისმეტყველების, წმინდად ნაციონალური თემებისა და ნაციონალური პრობლემატიკის გაუნივერსალურების, ქართული სინამდვილის მითო-სახისმეტყველებითი მხატვრული გააზრების, ახალი კულტურული და ლანდშაფტური სივრცეებისა და თემების შემოტანის საფუძველზე ახალი და უნიკალური მხატვრული ლიტერატურული ღირებულებების შექმნას*“.

რომანში მოქმედება ერთ სივრცეში – კოლხეთის დაბლობზე – „*აღმოსავლეთის მზიანი მინდვრების ქვეყანაში*“ – ვითარდება: „*ძველი კოლხეთის დაბლობი – ეს ის სივრცეა, რომელზეც გაისმის მწყემსების სალამურის განმარტობული სევდიანი ჰანგები, ცისკიდურები მოოქროვილი მზის ამოსვლით და მეწამული მზის ჩასვლით – სამყარო, ჩაფლული უსაზღვროებაში და გამსჭვალული სამშობლოს მეტაფიზი-*

კური სევდით“ (კარმანი, 1996, გვ. 386). შერჩეული ტოპოსი/ ლანდ-შაფტი ქმნის ახალ სემანტიკურ ველს და მნიშველოვნად განსაზღვრავს რომანის გმირების მსოფლგანცდას, სამყაროსეულ აღქმას. კოლხეთი გაიაზრება კაცობრიობის მითოსური არსებობის ერთგვარ მიკრომოდელად, საკრალურ სივრცედ, ცენტრად, სადაც „აბსოლუტური რეალობა“ სუფევს. მირჩა ელიადე (2017, გვ. 31) წიგნში „მარადიული დაბრუნების მითი“ „სრულყოფილ რეალობას“ ასე განმარტავს: „ის საკრალურია: ვინაიდან, მხოლოდ საკრალურს შეუძლია იყოს აბსოლუტური, იმოქმედოს შედეგიანად, შექმნას და ხანგრძლივი არსებობა მიანიჭოს ყველაფერს“.

ანტიკური ტრადიციისგან განსხვავებით, რომანში დაკარგულია მამის/ სამშობლოს ღალატის ხაზი. აიეტის სახეს ტექსტში ამორძალი დედა – ციცინო ანაცვლებს:

„ციცინო სხვა ქალებს არ ჰგავდა, მასში კოლხი ამორძალის სისხლი ჩქეფდა და ამიტომ ვერავის სატრფო ვერ იქნებოდა... არავის უღებდა საკუთარი გულის კარს და ამიტომაც არავის საკუთრება არ იყო. მისგან ის უდრეკი ძალა მოსჩეფდა, კაცებს რომ განაიარალებდა და ადამბლავებდა. და სწორედ ამაში იყო ამ ქალის საიდუმლო“ (რობაქიძე, 2012, გვ. 52-53).

გრიგოლ რობაქიძის რომანში, ევრიპიდეს მედეას მსგავსად, მეგი წარმოგვიდგება პოტენციურად ტრაგიკული ძალის მქონე გმირად, თუმცა ავტორი ცალსახად ემიჯნება მედეას მითოსის ჯადოსნურ პლასტს, ჩნდება ახალი ტენდენციები: წარმართული და ქრისტიანული მოტივები. მეგი გვევლინება, ერთი მხრივ, ამაყ, შეუდრეკელ, ამორძალების შთამომავალ ქალად იმ მითიური წინაპრებისა „სრულიად განმარტოებით რომ ცხოვრობდნენ და ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში უშანთავდნენ მარჯვენა მკერდს“ (რობაქიძე 2012: 72-73), მეორე მხრივ, ღვთაებრივი საწყისის მქონე ქალწულად. მისი „პორტრეტი-ხატი“ სასწაულმოქმედების მოლოდინს აღძრავს და ადამიანებს გულმხურვალე ლოცვისთვის განაწყობს: „მეგი, ეს სრულქმნილი, უმანკო ქალწული, თითქოს იმის მოლოდინში იყო, რომ ღვთაებრივი ნათელი გადაეფარებოდა. ასეთ წუთებში მისი სახე თითქოს არამიწიერად და ჰარმონიულად აირეკლებოდა ცის სილაჟვარდეში“ (რობაქიძე, 2012, გვ. 57).

ამდენად, გრიგოლ რობაქიძე სხვადასხვა პლასტების ერთგვარი სინთეზით ქმნის მედეას ახალ, წინააღმდეგობრივ, მრავალშრიან

გმირს, რომელიც თავის თავში იტევს „ქართველი ქალის“ რობაქიძისეულ იდეას:

„ქართველი ქალი, როგორც ქალი, უეჭველად პრობ-ლემაა. ვფიქრობ, რომ მის სტიქიაში ძველი ამორძალების ბევრი ნამს-ხვრევია, ამორძალებისა, სიყვარულის დროს მამაკაცებს შმა-გად რომ მივარდებოდნენ... მან არც სიყვარულის ახსნა იცის (იგი ამაყად გულდახურულია), არც სექსუალური გაფურჩქვნა (ის ასექსუალურია, ამორძალებურად სიმშაგის გადმონაშ-თების გამო): ქართველმა ქალმა არ იცის ნამდვილი „რომანი“ (რობა-ქიძე, 2014, გვ. 398).

ავტორმა თავისი გმირის ნაციონალური იდენტობა რომანის სა-თაურშივე მკაფიოდ გამოკვეთა – მეგი *ქართველი გოგონა*. მწერლის ეს მინიშნება კოლხი ასულის სახის ინტერპრეტაციისას პრინციპულ მნიშვნელობას იძენს.

გრიგოლ რობაქიძე მოდერნისტული მსოფლმხედველობრივი პო-ზიციიდან გაიაზრებს მეგი/მედეას ტრაგიზმის მიზეზსაც. თუკი „ევ-რიპიდესთან“ მედეა გამანადგურებელი ვნების ძალაუფლებას დამორ-ჩილებული ქალია და მისი ტრაგიკული სახის ფორმირების პროცესში განმსაზღვრელ მნიშვნელობას შვილების მკვლელობის აქტი იძენს, რობაქიძის ტექსტშიც მეგი შვილების მკვლელ დედად წარმოგვიდ-გება, თუმცა გმირის ტრაგიზმის საფუძველი პირველქმნილი ჰარმო-ნიის რღვევაა.

ნაწარმოების დასაწყისში მეგი მითოსური ცნობიერების მქონე გმირია. ტექსტი მეგის „დაბადების“ სცენით იწყება: „გოგონა წყლიდან ისე ამოვიდა, თითქოს ესესაა ადამის ნეკნიდან იშვაო“ (რობაქიძე, 2012, გვ. 24) ეს იმგვარი მდგომარეობაა, როცა ადამიანი „მე“-ს წიაღისაგან ჯერ კიდევ არ გამოცალკევებულა. აფხაზთან (იასონის პროტოტიპი – ასტამურ ლაკერბაია) პირველი შეხვედრით იწყება მითოსური არსე-ბობიდან გამოსვლისა და ისტორიულ დროში გადანაცვლების წინაღ-მდეგობრივი პროცესი. უცხო – აფხაზი გვევლინება იმ მეტაფიზიკურ ზღურბლად, რომლის გამოჩენა მეგიში „მე“-ს შეგრძნების შიშს იწვევს. ქალსა და მამაკაცს შორის გაიმართება „თაურსამყაროსეული ჭიდი-ლი“, „სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება“ (რობაქიძე, 2012, გვ. 70), რითაც მეგის მითოსური არსებობისგან საბოლოო გამიჯვნა ფორმდე-ბა. იწყება ახალ რეალობაში, ისტორიულ დროში იდენტობის ძიების ხანგრძლივი გზა: „ცალკეული ადამიანური მე მეტისმეტად პატარაა,

ხოლო ადამიანის გონება მეტისმეტად სუსტი, რომ იმ პროექციების მთლიანად შეთვისება შეძლოს, რომელიც მას სამყაროდან უკან უბრუნდება“ (იუნგი, 2013, გვ. 132).

მარადიული დაბრუნების იდეა, რომელიც მოდერნისტულ დისკურსში ფრიდრიხ ნიცშეს გავლენით მკვიდრდება, განსაკუთრებით აქტიურდება მითოგრაფიულ ტექსტებში. ეს კონცეფცია ედება საფუძვლად განხილულ რომანსაც. თუმცა მეგი-მედეას სახის განსასაზღვრად, მისი არსის შესაცნობად უნდა ვიხელმძღვანელოთ მარადიული დაბრუნების იდეის არა ნიცშესეული, არამედ რობაქიძისეული ინტერპრეტაციით. *„ყოველ საწყისში თაურსაწყისი თვლემს და მარადიული ცალკეულშია წარმოდგენილი. და თუ ცალკეული თავის თავზე მარადიულის გამანაყოფიერებელ ზემოქმედებას შეიგრძნობს, ამგვარად ის მარადიულად წილნაყარია. მაშინ მის-თვის ყოველი სასიკვდილო ზღვარი მეტად აღარ არის საბედისწერო საფრთხე და, მეტაფიზიკურ მიჯნას შეჯახებული მისი „მე“ შეიძლება გადარჩეს“* (რობაქიძე, 2012, გვ. 38).

მარადიული დაბრუნების იდეა განსაზღვრავს რომანის როგორც კონცეპტუალურ საზრისს, ისე სტრუქტურულ პარადიგმას: პერსონაჟი თავის მითიურ მოდელთან არის გაიგივებული, მოვლენები კი მითიურ ქმედებათა კატეგორიაში ინტეგრირდება. გრძნეული ძიძის მიერ არგონავტების მითის მოთხრობისას მეგი ინტუიტიურად შეიგრძნობს მითიური წინაპრის – მედეას – მასში განმეორების გარდაუვლობას: *„ის მაცდური ქალი, სიყვარულის ნიჭით უხვად დაჯილდოებული კოლხი მედეა განა ახლა ამ გოგონაში არ გაცოცხლებულიყო? იგივე აზრი უნებლიედ მეგისაც გაუელვებს გონებაში, მაგრამ როგორც კი ამას გაცნობიერებს, ათრთოლდება და სა-ხე შეეფაკლება“* (რობაქიძე, 2012, გვ. 45) მეგი „ისტორიულ ყოფაში“ არსებობას მხოლოდ მარადიული დაბრუნების იდეის გაცნობიერების შედეგად ახერხებს.

ნინო ხარატიშვილის „ჩემი და შენი გული [მედეა]“

ნინო ხარატიშვილი გერმანიაში მოღვაწე თანამედროვე ქართველი მწერალია, მისი პიესა „ჩემი და შენი გული [მედეა]“ პირველად 2007 წელს გერმანიაში, ჰამბურგში დაიდგა.

ნინო ხარატიშვილისთვის, როგორც ქალი და ემიგრანტი ავტორისთვის, მედეას სახის რეციპირების პროცესში განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა, ერთი მხრივ, მედეას, როგორც ძლიერი ნებელობის

მქონე ქალის, თავგადასავალი და, მეორე მხრივ, მედეას, როგორც ემიგრანტის, „უცხოს“, „ბარბაროსის“ ისტორია.

ტექსტში მოქმედება, საბერძნეთში, კორინთოში ვითარდება, ამბის განვითარების დრო კი, ავტორისვე გადაწყვეტილებით, „მარად-ისობა“ – ამგვარი განუსაზღვრელობა ამბავს არქეტიპულ შინაარსს სძენს და მარადიული განმეორებადობის პერსპექტივას უტოვებს.

მედეა პიესის დასაწყისშივე, იასონთან დიალოგისას, ინტუიტიურად გრძნობს უცხო ქვეყანაში საკუთარი ეროვნული იდენტობის, სიყვარულისა და შვილების დაკარგვის შიშს: „*ოღონდ უნდა გამიმეორრო, რომ ჩემს სამყაროს კორინთოშიც არაფერი დაემუქრება*“ (ხარატიშვილი, 2020, გვ. 12). საშიშროება გაურდაუვალი ხდება მას შემდეგ, რაც კორინთოს მეფე – კრეონი – მედეას შვილებს აშორებს და მათ ნახვას უკრძალავს, მედეას საფრთხის მოლოდინს ამბავს კორინთოს მეფის ჩანაფიქრი – იასონი საკუთარი ქალიშვილის – გლაუკეს – მომავალ ქმრად და კორინთოს ძლევადასილ მბრძანებლად აქციოს. კრეონის მიზანი საკუთარი ქვეყნის გაძლიერება და ქალიშვილისთვის უზრუნველი მომავლის შექმნაა. ამ პროცესში მისთვის მედეა დამაბრკოლებელი ფაქტორია – ერთ მხრივ, როგორც მისი ქალიშვილის მეტოქე ქალი, მეორე მხრივ, კი როგორც „უცხო“ – ძლევადასილი კოლხეთის მეფის აიეტის ასული, რომელსაც მუდმივად დასტანჯავს ნოსტალგია, დანაშაულის შეგრძნება და კოლხეთისთვის ძველი დიდების – მათ შორის ოქროს საწმისის – დაბრუნების გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი სურვილი/ცდუნება.

მედეას საფრთხის განეიტრალებას კრეონი მისი დამორჩილებითა („*ჩემი ხალხის წესებს უნდა დაემორჩილო. შენ, მოღალატეს. მკვლელს და დევნილს, ხმა არ გაქვს ამოსაღები*“ და ეროვნული იდენტობის წაშლის, ბერძნულ სამყაროსთან, წესრიგთან ასიმილაციის მოთხოვნით ცდილობს: „*შენი შვილები ჩემთან დარჩებიან, ჩემს შვილებს კი დაუმეგობრდები. ტაძრებში ივლი და ბაღებს მოუვლი, სადამოობით სუფრას გაშლი. ჩემს ღმერთს ილოცებ, და ასე შეიძენ ახალ სახეს. სახეს, რომელსაც მე გიბოძებ, მედეა, და მალე დაივიწყებ შენს სახელს, სიმშვიდეს ჰპოვებ და მადლი-ერი და უთქმელი, ახალ ცხოვრებას დაიწყებ*“ (ხარატიშვილი, 2020, გვ. 24- 25).

იასონის დასარწმუნებლად კი კრეონი მიმართავს მანიპულაციის ხერხს, იოლკოსის დევნილ მბრძანებელს კორინთოში ძალაუფლების

მოპოვების შემდეგ თავისი სამეფო ტახტის დაბრუნების იმედს უღვივებს, ასევე შვილების უზრუნველ მომავალს ჰპირდება, სამაგიეროდ კი მედეას დავიწყებასა და ოქროს საწმისის, სიუხვის, ბედნიერებისა და ძლევამოსილების სიმბოლოს, საიდუმლოს გამჟღავნებას თხოვს:

„ოქროზე უფრო ფასეული ცოდნაა, იასონ, ცოდნა. იმის ცოდნა, რომ კორინთო ფლობს საწმისს, ღმერთების საიდუმლოს – უკვე გამარჯვებას მოგვითმის. ცოდნას მეტი ძალაუფლება მოაქვს, ვიდრე ოქროს. ადამიანებს ნიშანი სჭირდებათ. დაანახვე ძალაუფლების ნიშანი და დაგემორჩილებიან, პატარა ხოჭოებივით იფუსფუსებენ შენ ირგვლივ და ყველა სურვილს აგისრულებენ. შენ ეს ნიშანი გექნება, ადამიანებს კი ოცნება“ (ხარატიშვილი, 2020, გვ. 44).

კრეონის ამ გამოწვევას, შინაგანი ბრძოლის მიუხედევად, იასონი იღებს და მედეასთან საკუთარი გადაწყვეტილების მოტივს შვილების კეთილდღეობისა და მათთვის ნათელი მომავალის შექმნის სურვილით ხსნის. მედეა აცნობიერებს, რომ კეთილშობილური საბაზი სინამდვილეში ძალაუფლებისა და დიდების მოპოვების მაცდური ვნების სუბლიმაცია და საყვარელი ქალის ღალატია. ეს არასასიამოვნო აღმოჩენა იასონთან მედეას გაუცხოების მიზეზი ხდება: „*იასონი უცხოა უცხოეთში*“ (ხარატიშვილი, 2020, გვ. 20), „*აქ ჩვენ აღარ ვარსებობთ*“ (ხარატიშვილი, 2020, გვ. 36).

კრეონის პოზიციაში შეგვიძლია წავიკითხოთ დომინანტური კულტურის დამოკიდებულება მარგინალური ცივილიზაციის მიმართ, რომელსაც საუკუნეების ისტორია აქვს და გულისხმობს ცენტრის მიერ პერიფერიის არშემჩნევას, იგნორირებას, მისი კულტურის უარყოფასა და აპრიორი უინტერესოდ, უსარგებლოდ გამოცხადებას. მედეას პრობლემის ანალიზისას კლასიკური ფილოლოგიის პროფესორი სოფიო შამანიდი სწორედ აღნიშნულ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას: „[მედეა] არ არის ბერძენი, ის უცხო ტომისაა, უცხო კულტურის მატარებელია და შესაბამისად, მიუღებელი „დასავლური“ „ცივილიზებული“ სამყაროსთვის“ (ხარატიშვილი, 2020, გვ. 4).

ამავე დროს კრეონის პოზიციაში შეგვიძლია ამოვიკითხოთ მითოსის – ერთგვარი ლოგოცენტრული კონსტრუქტის – მასკულინური პერსპექტივა, რომლის მიხედვითაც, ქალი უმთავრესად გაიაზრებოდა საკრალურ არსებად, მკაცრად განსაზღვრული როლითა და ქცევითი მოდელებით. მედეას შემთხვევაში ის მიიჩნეოდა ზებუ-

ნებრივი ნიჭის მქონე გრძნეულად, ჯადოქრად. მისი ბრძოლის გზა კი აღიქმებოდა არა ღირსების დაცვის, სამართლიანობის აღდგენის მცდელობად, არამედ სასოწარკვეთილი ქალის შურისძიების ირაციონალურ და სტიქიურ აქტად, მაშინ როდესაც მამაკაცის მხრიდან ღალატზე მწვავე რეაქცია ანდა შურისძიება, მათ შორის სასტიკი მეთოდებით, ადეკვატურ და ლეგიტიმურ ქცევად ფორმდებოდა (ხატი-აშვილი 2020: <https://www.facebook.com/watch/?v=2825097377607302>). მედეას სახის საკრალიზება და დემონიზება კი ერთმნიშვნელოვნად განაპირობებდა მის მარგინალიზაციას. ნინო ხარატიშვილის პიესაში კრეონის პოზიციონირება მედეას მითოსის მასკულინალური პერსპექტივის გამომხატველად უნდა მივიჩნიოთ: „სად ისწავლა ქალმა ამდენი საშინელება?“ (ხარატიშვილი, 2020, გვ. 62), „მისი ქვეყნის ქალები ისეთები არ არიან, როგორც ჩვენები. გაუწვრთნელები არიან და დაუოკებლები“ (ხარატიშვილი, 2020, გვ. 43).

ტექსტში კრეონის პოზიციას მედეა თავდაპირველად მტკიცე თავდაცვით, მოგვიანებით კი თავდასხმით სტრატეგიას უპირისპირებს. მედეა არათუ არ ურიგდება კორინთოს მეფის დღისწესრიგს, პირიქით, ამბობს იწყებს და უპირისპირდება მას: „შენ ჩემი მეფე არ ხარ!“, „შენს თამაშს არ ავყვე-ბი“ (ხარატიშვილი, 2020, გვ. 23, 25).

ამდენად, მეფესთან დაპირისპირებისას ვლინდება ძლიერი ნებელობის ქალი, რომელიც ცდილობს გამოვიდეს მარგინალური პოზიციიდან. ერთი მხრივ, დაძლიოს გენდერული, მეორე მხრივ, კი პერიფერიული მარგინალიზაცია. სწორედ ამიტომ მედეა უარყოფს ქალისთვის მინიჭებულ მკაცრად განსაზღვრულ სოციო-კულტურულ როლს და თავისუფლდება მასკულინური შეზღუდვებისგან – ამ იდეის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ქმართან მისი გაუცხოება და კრეონთან თანაბარი მეტოქეობა. გარდა ამისა, განსხვავებულია ხარატიშვილის მედეას შურისძიების ტრაექტორია, მთავარი სამიზნე, არა იასონი ან გლაუკეა, არამედ კრეონი – როგორც მისი ტრაგიკული ბედის მთავარი შემოქმედი. მედეას სასჯელი უფრო სამართლიანობის აღდგენის სრულიად გააზრებულ, რაციონალურ მცდელობად აღიქმება, ვიდრე ღალატზე ინსტინქტურ რეაქციად, აფექტურ მდგომარეობაში მიღებულ გადაწყვეტილებად. მედეა საკუთარი ღირსების დაცვას კრეონის გეგმების განადგურებით ცდილობს და ახერხებს კიდევ მიზნის მიღწევას, მეფის ოცნება კორინთოს დიდებული მომავლის შესახებ ოქროს საწმისთან ერთად იფერფლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბრეგაძე, ვ. (2016). „ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის სოციოკულტურული, ესთეტიკური და პოეტოლოგიური კონსტექსტები“. *ქართული ლიტერატურა ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში (შუასაუკუნეებიდან პოსტსამჭოთა ეპოქამდე*, ნაწილი II. თბილისი: „საარი“, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
- ელიაძე, მ. (2009). *მითის ასპექტები*. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ელიაძე, მ. (2017). *მარადიული დაბრუნების მითი არქექტიპები და განმეორებადობა*. თბილისი: „ალეფი“.
- იუნგი, კ. გ. (2013). *ფსიქოლოგია და რელიგია, პასუხი იოზს*. თბილისი: „დიოგენე“.
- კარმანი რ. (1996). *„რობაქიძე და მითის აღორძინება“*. *ჩემთვის სიმართლე ყველაფერია*. თბილისი: „ჯეკ-სერვისი“.
- ნადარეიშვილი, ქ. (2011). „მითოლოგიური ტრადიცია მედეას შესახებ და ევრიპიდეს „მედეა“. *მითოსური აზროვნება, ფოლკლორი და ლიტერატურული დისკურსი, ევროპული და კავკასიური გამოცდილება*. თბილისი: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
- რობაქიძე გ. (2012). *მეგი ქართველი გოგონა*. თბილისი: „არტანუჯი“.
- რობაქიძე გ. (2012). *„თაურშიში და მითოსი“*. *დემონი და მითოსი – ჯადოსნურ სურათთა რიგი*. თბილისი: „არტანუჯი“.
- რობაქიძე გ. (2014). *„ქართული მოდერნიზმი“*. *ომი და კულტურა*. თბილისი: „არტანუჯი“.
- შამანიდი ს. (2020). წინასიტყვაობა. წიგნში: სამი მედეა, პიესები. თბილისი: „არტანუჯი“.
- ხარატიშვილი, ნ. (2020). ხარატიშვილი, ნ. *„ჩემი და შენი გული [მედეა]“*. თბილისი: „არტანუჯი“. წიგნში: ხარატიშვილი, ნ., ფლურაკისი ა., ბუღაძე ლ. სამი მედეა. თბილისი: „არტანუჯი“.
- ხატიაშვილი თეო (2020). *ვიდეო ლექცია – მედეას ეკრანიზაციები*.
<https://www.facebook.com/watch/?v=2825097377607302>

References:

- Bregadze, K'. (2016). „Kartuli lit'erat'uruli modernizmis sotsiok'ult'uruli, estet'ik'uri da p'oet'ologiuri k'onst'ekt'ebi“. Kartuli lit'erat'ura ist'oria saertashoriso lit'erat'uruli p'rotsesebis ch'rilshi (shuasauk'uneebidan p'ost'sabch'ota ep'okamde, nats'ili II. ["Sociocultural, aesthetic and poetic contexts of Georgian literary modernism". Georgian Literature History in the Light of International Literary Processes (From the Middle Ages to the Post-Soviet Era, Part II)]. Tbilisi: "saari", Shota Rustaveli institute of Georgian literature.
- Eliade M. (2009). Mitis asp'ekt'ebi. Tbilisi: ilia ch'avch'avadzis sakhelmts'ipo universit'et'i. [Aspects of myth]. Tbilisi: Ilia Chavchavadze state university.
- Eliade M. (2017). Maradiuli dabrunebis miti arket'ip'ebi da ganmeorebadoba. [The Myth of Eternal Return Archetypes and Repeatability]. Tbilisi: "alef".
- Jung K. G. (2013). Psikologia da religia, p'asukhi Iobs. [Psychology and religion are the answer]. Tbilisi: "diogene".
- Karman R. (1996). „Robakidze da mitis aghordzineba“. Chemtvis simartle q'velaperia. ["Robakidze and the revival of the myth"]. Truth is everything to me. Tbilisi: jack-service, 1996.
- Kharat'ishvili, N. (2020). Chemi da sheni guli [Medea]“. ["My heart and yours [Medea's]."] [In Book: Kharat'ishvili, N., Plurak'isi, A., Bughadze, L. Three Medea]. Tbilisi: "artanuji" publishing house.
- Khat'iashvili Reo (2020). Video lektisia – Medeas ek'ranizatsiebi. [Video lecture – screenings of Medea].
<https://www.facebook.com/watch/?v=2825097377607302>
- Nadareishvili st. (2011). „Mitologiuri t'raditsia medeas shesakheb da evrip'ides „medea“. Mitosuri azrovneba, polk'lori da lit'erat'uruli disk'ursi, evrop'uli da k'avk'asiuri gamotsdileba. ["The mythological tradition of Medea and Euripides' Medea". Mythic thought, folklore and literary discourse, European and Caucasian experience]. Tbilisi: institute of georgian literature.
- Robakidze G. (2012). Megi kartveli gogona. [Maggie is a Georgian girl]. Tbilisi: "art'anuzhi", 2012.
- Robakidze G. (2012). „Taurshishi da mitosi“. Demoni da mitosi – jadosnur suratta rigi. ["First Fear and Mythos". A series of demon and mytho-magical images]. Tbilisi: "art'anuji".
- Robakidze G. (2014). „Kartuli modernizmi“. Omi da k'ult'ura. ["Georgian Modernism". War and culture]. Tbilisi: "art'anuji".
- Shamanidi S. (2020). Review. Kharat'ishvili, N. (2020). Chemi da sheni guli [Medea]“. ["My heart and yours [Medea's]."] [In Book: Kharat'ishvili, N., Plurak'isi, A., Bughadze, L. Three Medea]. Tbilisi: "art'anuji".